



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 306

18/01/2018

306-09-2-201801180959



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ დამატებითი განმარტებითი ბარათი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოიყო 3200000 ლარი. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე პირველ ეტაპზე მიიმართოს სტიქიით დაზიანებული ფიზიკური პირების სახლების სახურავების და ელ-გაყვანილობის მასალების შექმნისათვის 209415 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეცვლაზე 42649 ლარი, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის დაზიანებული სახურავის აღდგენაზე და ფასადის ნაწილობრივ შეფუთვაზე 19677 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსებისათვის ჩამორიცხული თანხიდან 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება აუთვისებელი თანხა 287328 ლარი და ადგილობრივი შემოსავლიდან 27313 ლარი, რაც თანადაფინანსების 5%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხიდან: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის სამუშაოებზე არაფინანსური აქტივების მუხლში მიიმართოს 59296 ლარი, მათ შორის განკარგულებით 46539 ლარი, საკუთარი შემოსავლით 12757 ლარი; ჯანდაცვის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები არაფინანსური აქტივების მუხლი 78835 ლარით, მათ შორის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 73227 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 5608 ლარი; მდინარე სუფსაზე ნაგვის დამჭერის მოწყობის დაფინანსება არაფინანსური აქტივების მუხლით 166436 ლარი, მათ შორის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 158114 ლარი, საკუთარი წყაროთი 8322 ლარი; საპროექტო დოკუმენტაციის და საამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობის შესყიდვის მიზნით არაფინანსური აქტივების მუხლით დაფინანსება განისაზღვროს 10074 ლარით, მათ შორის განკარგულებით 9448 ლარი, საკუთარი სახსრებით 626 ლარი.

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის სოცუზრუნველყოფის მუხლი გაიზარდოს 364 ლარით.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები განხორციელდეს 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტში არსებული ნაშთის ხარჯზე.

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის და ერთჯერადი დახმარების პროგრამის სოცუზრუნველყოფის მუხლის 1000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ამავე პროგრამის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 1000 ლარით.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა